ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: ამხანაგობა ,,მირაჟი''

საფუძველი: 12/13211131 30.07.2013წ.

მისამართი: ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ქუჩა ვეფხისტყაოსანის №16;

საკ.კოდი: 01.72.14.034.471

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №371972 03.10.2012წ AR1130351

ფუნქციური დანიშნულება: მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი IV კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (09.08.13) დადგინდა:

ფასადებზე შეცვლილია ზოგიერთი კარ-ფანჯრის ნახატი და გაბარიტები, ასევე ზოგი კარის გაღება არ ემთხვევა საპროექტოს. დამატებულია სატელიტური ანტენები, კონდიციონერები, გამაცხელებლები და გამწოვი მილები. ფასადებზე მოწყობილი რიგელები ნაწილობრივ შესაღებია. დამატებულია ლესვის ხაზები და ზოგ ადგილას კედლის მცირე ფრაგმენტი შესალესია. სამანქანოებში დამატებულია კოლონები. სამანქანოებთან შემცირებულია ბაქნები და კიბეზე დამატებულია მოაჯირები. სამანქანოების ერთი კარები შესაღებია, ხოლო მეორე არ არის მოწყობილი, კედლებზე დამატებულია თუნუქის ფურცლები, ფრამუგების ნაცვლად მოწყობილია გისოსები. საპროექტო ტერიტორიაზე ,,ა-ნ'' ფასადის მხარეს კიბეზე დამატებულია ერთი საფეხური. ±0.00 ნიშნულზე შენობის ირგვლივ შეცვლილია ტერიტორიის ფილებით მოპირკეთება. ა-ნ ფასადზე ±0.00 ნიშნულზე დამატებულია სარეკლამო ბანერი.

1-9 ფასადის მხარეს ასფალტის საფარი გასულია საკადასტრო წითელი საზღვრიდან.

პროექტის ხარვეზი: კუთხის აივნებზე კარის და ფანჯრის მოწყობა შესრულებულია გეგმის ნახაზის მიხედვით.

ვ.ამისულაშვილი